შპს“ ენსი დეველოპმენტი“

NC DEVELOPMENT LTD

თბილისი, გლდანის მე-5 მკრ. გრაფ შულენბურგის 2, ბ 9ა. ტელ: 577 49 44 88
Tbilisi, Gldani V mkr. Graf Shulenburg str. 2, 9a. Tel: 577 49 44 88

25/02/22წ.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

შპს “ენსი დეველოპმენტ“-ის (ს/კ 405385925)
დირექტორის სერგო კვანტალიანის

როგორც თქვენთვის ცნობილია N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შპს „ენსი დეველოპმენტ“-ს (ს/ნ 405385925) ცალკეული ვალდებულებებით, კერძოდ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის პირობთ, ხოლო ამ პირთათის გადასაცემი ფართის მახასიათებელები განსაზღვრულია სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებსა და შპს „ენსი დეველოპმენტ“-ს (ს/ნ 405385925) შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართით. აღნიშნული ფართები განაწილებული იყო NAR1806834 და NAR1807013 განაცხადებით შეთანხმებულ ბ-1 და ბ-2 ბლოკებში. წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ბ-1 ბლოკის კორექტირება და კოოპერატივისათვის გადასაცემი სრულად აისახება ბ-1 ბლოკში, შემდეგი ბინის N-1;3;5;7;11;12;13;16;17;18;19;20;21;25;26;29;33;34;38;41;42;43;44;46;47;50;53;55;56;58;59;63;66;67;70;71;74;75;76;77;78;79;80;81;82;83;84;85;86-103, აღნიშნულიბინები დეტალურად მონიშნულია შესაბამის გეგმებზე.

შპს “ენსი დეველოპმენტი“-ს დირექტორი ს. კვანტალიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01213302427**
თარიღი: **26/11/2021**
პინი: **2593**

ადრესატი: ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი: 01011076175
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01212991150-67
განცხადების თარიღი: 26/10/2021

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.10.08.006.230
- მისამართი :ქალაქი თბილისი , საბურთალოს რაიონი , ნაკვეთი 06/095 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა არჩილ მეფე , N 13-15 , მიმდებარედ

განმცხადებელი-დამკვეთი :ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი :01011076175
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება / მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01213307**
თარიღი: **26/11/2021**
პინი: **8823**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01212991150-67
განცხადების თარიღი:	26/10/2021
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება / მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.10.08.006.230
მისამართი :	ქალაქი თბილისი , საბურთალოს რაიონი , ნაკვეთი 06/095 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა არჩილ მეფე , N 13-15 , მიმდებარედ
მესაკუთრეები :	შპს "ენსი დეველოპმენტ",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ნიკოლოზ გოგეშვილი
პირადი ნომერი :	01011076175
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 217, ბინა 30
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	სერგო კვანტალიანი
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების რეკვიზიტები :	
ნომერი :	5286383
თარიღი :	2021-02-11 00:00:00.0
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	

ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
კ - 1 :	0.5
კ - 2 :	2.5
კ - 3 :	0.3
მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 2 :	4.2
დასაბუთების ელექტრონული ალბომი :	
k2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი. :	45546.1
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ გაგვიზარდოთ კ2 კოეფიციენტი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	წარმოდგენილი ქალაქთმშენებლობითი დასაბუთების (წინასაპროექტო კვლევა) დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14- დადგენილების მე-1 მუხლის პირველი, მე-2 და მე- პუნქტების ანალოგიით და შეთანხმების გაცემის მიზანშეწონილობის დასაბუთება, საარო და კერძო ინტერესების ვენებით (მოცემულ შემთხვევაში 50-100-150 მეტრიან რადიუსში ნაკვეთების ფართობის, სიმიდროვის, არსებული შენობების ფუნქციების გათვალისწინებით და სხვა მონაცემები). ვენს მიერ წარმოდგენილი დასაბუთების ალბომი დამუშავებულია ზემოხსენებული მე-1 მუხლის შესაბამისად დამკვეთის სურვილია: კ2-ი კოეფიციენტის გადამეტება 2.5-იდან 4.2-ამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. შერეული საპროექტო კოეფიციენტი გამომდინარეობს ქ.თბილისისი მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სამსახურთან დადებული ხელშეკრულებიდან ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი გათვალისწინებულია კოპერატიული ბინათმესაკუთრეობით დაზარალებულთა დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული შეგიძლიათ იხილოთ დანართში. პროექტი წარმოადგენს ეგრეთ წოდებული კოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის განკუთვნილ ობიექტს შესაბამისად ვითხოვთ კოეფიციენტის გადამეტებას ხელშეკრულების შესაბამისად. დამკვეთის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს უსაფრთხოების ნორმების დაცვა, აქედან გამომდინარე ახალი საპროექტო ობიქტების გაბარიტული მავენებლები სრულად შეესაბამაბა 2016 წლის 28 იანვრის საქართველოს მთავრობის 41 დადგენილების მოთხოვნებს.1
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
	N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის დიდი ნაწილი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ო" ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)

	შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=2.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ–3=0.3 მინიმალური ფართობი 600 / 700 * კვ.მ. მინიმალური სიგანე 15 / 20 * მ. მინიმალური სიღრმე 25 / 30 * მ. შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის. წარმოდგენილი საკადასტრო ერთეული ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით მდებარეობს პერიფერიულ ზონაში (პზ), რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილ ტერიტორიულ ელემენტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის 192 განკარგულების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცა თანხმობა 10755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესაბამისად სიმბოლურ ფასად (1 ლარი) გადაეცათ ყოფილ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/ მათ უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ 405385925). აღნიშნულის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო/სამშენებლ კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს ,,ენსი დეველოპმენტს" შორის გაფორმდა 01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 10 775 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების პრეამბულის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით 2020 წლის 18 სექტემბრიდან 2020 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095-ის მიმდებარედ (01.10.08.006.095) და არჩილ მეფის ქუჩა 13-15-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.10.07.007.111), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (გაერთიანების შედეგად მინიჭებული ს/კ: 01.10.08.006.230, ჯამური ფართობი 10 755 კვ.მ) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მუნიციპალიტეტისთვის/კოოპერატივის წევრებისათვის გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება 5 000 კვ.მ (კ2=4.2) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) სააგენტოს/ კოოპერატივის წევრების /სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებული ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო 2020 წლის 20 ნოემბრის 61-0120325781 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს შპს ,,ენსი დეველოპმენტი".
გადაწყვეტილების დასაბუთება :	საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია განაშენიანებული მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით. მოწესრიგებულია საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზა. წარმოდგენილ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მწვანე ხე-ნარგავები. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით იმსჯელა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმარების სამსახურმა და N01213053497 გადაწყვეტილებით თანხმობა განაცხადა საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულ სამშენებლო განვითარებაზე. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 5^1 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 ნოემბრის N21.1533.1706 განკარგულებით დასაშვებად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N13-15, მიმდებარედ არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი; N01.10.08.006.230) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში. აღნიშნული საკითხი შეთანხმებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N569 განკარგულებით.

	განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე (მისამართი:ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნაკვეთი 06/095; ქალაქი თბილისი, ქუჩა არჩილ მეფე, N 13-15, მიმდებარედ; ს/კ01.10.08.006.230) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის 4.2-მდე გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში), გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში: ა) რთული რელიეფის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი ტერასული შენობებისა და მათი კომპლექსების მშენებლობისას, გეგმარებითი სპეციფიკიდან გამომდინარე კ-1 ცვლილება – არაუმეტეს 0,7-მდე, თუმცა კ-3 არანაკლებ 0,2 გამოყენების პირობით; ბ) განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო ობიექტებისათვის ამ წესის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისას, ფაქტობრივად ათვისებული პარამეტრების დაფიქსირების მიზნით; გ) კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე; დ) მუნიციპალიტეტის ინიციატივით შემუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ არეალებზე; ე) აუცილებელი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციისას – კ-1 ცვლილება – არაუმეტეს 0,7-მდე; ვ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისას დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად; ზ) ავარიული შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა) ჩანაცვლების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ამასთანავე, ავარიულად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს იმგვარი შენობა-ნაგებობები, რომელთა ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება გადაუდებელ დემონტაჟს; თ) იმ ობიექტების დასრულების მიზნით, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად. საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები და ასევე მიწის ნაკვეთის ნაწილზე - მდინარის წყალდაცვილი ზონა, ღვარცოფი. შესაბამისად, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების დაცვით განთავსების მიზნით, მშენებლობის ნებართვის შესაბამის ეტაპზე წარდგენილ იქნეს ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეებთან შეთანხმებული გრაფიკული მასალა, ასევე სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია.
დასკვნა :	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია (მათ შორის განაშენიანების რეგულირების ფარგლებში), გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განაშენიანების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად „კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე“. ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთიზე მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების საფუძველს წარმოადგენს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილება, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანულ განვითარების სააგენტოს, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მისამართი:ქალაქი თბილისი, საბურთალოს

	რაიონი, ნაკვეთი 06/095; ქალაქი თბილისი, ქუჩა არჩილ მეფე, N 13-15, მიმდებარედ; საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის გადამეტებისთვის (კ-2=4.2), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა შესაძლებლად მიაჩნია.



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

ბრძანება:**ბ01.012133011**
თარიღი:**26/11/2021**
პინი:**5597**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, ნაკვეთი 06/095; ქალაქი თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N13-15-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212991150-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, ნაკვეთი 06/095; ქალაქი თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N13-15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ-2=4.2

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01212991150-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **61-01211963114**
თარიღი: **15/07/2021**
პინი: **5207**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს ენსი დეველოპმენტ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405385925
მისამართი: ქალაქ თბილისი, გლდანის მე-5 მკრ. გრაფ შულენბურგის 2, ბინა 9 ა - საკონტაქტო ინფორმაცია: 577494488

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „**სააგენტო**“) 2021 წლის 14 ივლისს თქვენ მიერ წარმოდგენილ N10/01211952845-61 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტს, გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების (შემდგომში - „**2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულება**“) შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.Tbilisi.gov.ge/page/3268 2020 წლის 18 სექტემბრიდან 2020 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონი, ნაკვეთი 06/095-ის მიმდებარედ (ს/კ: N01.10.08.006.095 - ფართობი: 9 343 კვ. მ) და არჩილ მეფის ქუჩა N13-15-ის მიმდებარედ (ს/კ: N01.10.07.007.111 - ფართობი: 1412 კვ. მ), საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ჯამური ფართობი: 10755 კვ. მ.) - დღეის მდგომარეობით ს/კ: N01.10.08.006.230 - ფართობი: 10755 კვ. მ - „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირებისთვის საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე“ (შემდგომში - „**ინტერესთა გამოხატვა**“). აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას წარმოადგენს - **შპს “ენსი დეველოპმენტ”** (ს/კ: 405385925), რომლის ვალდებულებას, ინტერესთა გამოხატვის პირობების მიხედვით, წარმოადგენს, მიწის ნაკვეთზე სამშენებლო პროექტის განხორციელება (შემდგომში - **„სამშენებლო პროექტი“**) და შემდგომში, აშენებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობიდან ფართების ნაწილის სააგენტოს/კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებულ პირების (შემდგომში - “**დაზარალებული პირები**”)/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისათვის გადაცემა, იმ პირობით, რომ დაზარალებული პირები უარს იტყვიან მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ, სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

აღსანიშნავია, რომ საკითხთან დაკავშირებით გამოცემული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N21.536.625 და 2021 წლის 18 მაისის N192 განკარგულებებით, მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება N01.10.08.006.230 (ფართობი: 10755 კვ.მ - წინა საკადასტრო კოდი - N01.10.08.006.095; ს/კ: N01.10.07.007.111) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით, 2021 წლის 11 ივნისს კი მხარეებს: სააგენტოს, შპს “ენსი დეველოპმენტს” და დაზარალებულ პირებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება - **„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“** (შემდგომში - **„ხელშეკრულება“**).

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვისა და ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, თქვენს ზემოაღნიშნულ განცხადებაში დაფიქსირებულ საკითხებთან დაკავშირებით, განგიმარტავთ შემდეგს:

1. ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში, კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად (კ2) განსაზღვრულია - **4.2.** ამასთან ხელშეკრულების 5.3.3 პუნქტის მიხედვით, „სააგენტო ადასტურებს, რომ კომპანია, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით განხორციელებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიწის ნაკვეთის დაყოფის

შემთხვევაშიც, შესაძლებლობას მიიღებს მაქსიმალურად აითვისოს ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრული კ-2 კოეფიციენტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართი“.

2. ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, „კომპანიის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, სააგენტო კომპანიას წერილობით მიაწვდის ინფორმაციას მისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების რაოდენობისა და თითოეული ბინის ფართობის შესახებ. კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას გაითვალისწინოს სააგენტოს მიერ მიწოდებული მონაცემები და აღნიშნული პროექტი შეათანხმოს ამ მონაცემებისა და საცხოვრებელი ფართების ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფართობების შესაბამისად.“ ამდენად, ხელშეკრულების მითითებული პირობის თანახმად, საცხოვრებელი ფართების პროექტირების პროცესში, კომპანია ვალდებულია გაითვალისწინოს სააგენტოს მიერ მიწოდებული მონაცემები სააგენტოსთვის გადასაცემ ფართებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 3.4. პუნქტის მიხედვით, „კომპანია უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს კოოპერატივის წევრებისა და სააგენტოსათვის გადასაცემი ფართების პროექტირება და შეიტანოს მასში ცვლილებები, მათი წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა გადასაცემი ბინების ფართობის, რაოდენობის ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების ცვლილებისა. ამასთან, დასაშვებია ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული, კოოპერატივის წევრებისა და სააგენტოსათვის გადასაცემი ფართების ცდომილება ფართის შემცირების შემთხვევაში, არაუმეტეს 3 %-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, კოოპერატივის წევრებს ან/და სააგენტოს არ წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება კომპანიის მიმართ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართი აღემატება ამ ხელშეკრულების დანართით მისთვის გათვალისწინებულ ფართს, კომპანია გადასცემს მათ გაზრდილ ფართს და აღნიშნულთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრ(ებ)ის/სააგენტოს მიმართ არ წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.“

3. რაც შეეხება სააგენტოს პოზიციას აღნიშნული სამშენებლო პროექტის ფარგლებში, შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ გადაცემული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს გარეთ სამუშაოების (გზის მოწყობა, ტროტუარის ჩაჭრა და ა.შ.) განხორციელებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სააგენტო, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი ორგანო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, სამშენებლო პროექტის ფარგლებში და მისი მიზნისთვის დაგეგმილი საპროექტო სამუშაოები განხორციელდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული დოკუმენტაციის შესაბამისად.

რაც შეეხება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ხარვეზების შევსებისათვის დადგენილი ვადის ხელშეკრულებით განსაზღვრულ 9 (ცხრა) თვიან ვადაში გათვალისწინების საკითხს, გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების 3.5. პუნქტის თანახმად, „კომპანია ვალდებულია შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული ვადა არ მოიცავს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად განსაზღვრულ ვადას.“

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 192

18 მაისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის" (ს/კ: 405385925) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 7 დეკემბრის №18.996.1373 განკარგულების პირველი და მე-3 პუნქტების და „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის" (ს/კ. 405385925) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021

წლის 28 აპრილის №21.536.625 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/კ 405385925) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.536.625 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. №13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.08.006.095; №01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ამ განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრულ პირთათვის, სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი 11 ივნისი 2021 წ.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმმენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.536.625 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N192 განკარგულებების საფუძველზე,

(1) **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო**, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ირაკლი თავართქილაძის (პ/ნ: 01024052796) მიერ (შემდგომში - „**სააგენტო**");

(2) წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებული **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრები/მათი უფლებამონაცვლეები** (შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „**კოოპერატივის წევრები**");

(3) **შპს „ენსი დეველოპმენტ"** (ს/კ: 405385925) წარმოდგენილი **სერგო კვანტალიანის (პ.ნ: 62001015364)** მიერ (შემდგომში - „**კომპანია**");

შემდგომში თითოეული ერთობლივად წოდებული, როგორც „**მხარეები**", ხოლო ცალ-ცალკე - „**მხარე**";

პრეამბულა

ვინაიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2020 წლის 18 სექტემბრიდან 2020 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095-ის მიმდებარედ (ს/კ: N01.10.08.006.095 - ფართობი: 9 343 კვ. მ) და არჩილ მეფის ქუჩა N13-15-ის მიმდებარედ (ს/კ: N01.10.07.007.111 - ფართობი: 1412 კვ. მ), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (გაერთიანების შედეგად მინიჭებული საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.230; ჯამური ფართობი: 10 755 კვ. მ.) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (შემდგომში - **„სამშენებლო პროექტი“**) (მუნიციპალიტეტისთვის/კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება 5 000 კვ.მ. (ჯ:2=4.2) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) სააგენტოს / კოოპერატივის წევრების / სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ (შემდგომში - **„ინტერესთა გამოხატვა“**);

ჯ2 =4.2

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - **„სააგენტო“**) 2020 წლის 20 ნოემბრის №61-0120325781 წერილის თანახმად, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს შპს „ენსი დეველოპმენტ“ (ს/კ: 405385925), რომელმაც ინტერესთა გამოხატვაში წარადგინა სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის/ კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) – 6 100 კვ. მ ოდენობით (შემდგომში - **„გადასაცემი ფართი“**);

ვინაიდან, კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.10.08.006.230 (წინა საკადასტრო კოდები: N01.10.07.007.111; N01.10.08.006.095) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულებების დანართით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განხორციელებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით;

ვინაიდან, გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 6 100 კვ. მ-ს, საიდანაც 728.057 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 5371.943 კვ.მ - ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ კოოპერატივის წევრებს;

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.536.625 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N192 განკარგულებებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ N01.10.08.006.230 (წინა საკადასტრო კოდები: N01.10.07.007.111; N01.10.08.006.095) (ფართობი - 10 755 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კოოპერატივის წევრებისა და შპს „ენსი დეველოპმენტ" (ს/კ: 405385925) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, დადონ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „**ხელშეკრულება**"):

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და უძრავი ქონების რეგისტრაციის წესი

1.1. სააგენტო, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, პირდაპირი წესით, პრივატიზების ფორმით, თანასაკუთრებაში გადასცემს კოოპერატივის წევრებსა და კომპანიას ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095)/ არჩილ მეფის ქუჩა N13-15-ის მიმდებარედ, N01.10.08.006.230 (წინა საკადასტრო კოდები: N01.10.07.007.111; N01.10.08.006.095) (ფართობი - 10 755 კვ.მ) მდებარე მიწის ნაკვეთს (შემდგომში - „**მიწის ნაკვეთი**") ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ფართობების მიხედვით.

1.2. ამავე ხელშეკრულებით, კოოპერატივის წევრები მიწის ნაკვეთის დანართით განსაზღვრულ შესაბამის წილზე საკუთრების უფლებას გადასცემენ კომპანიას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

1.3. ამ ხელშეკრულების 1.1. და 1.2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საჯარო რეესტრის ერთიან სააგენტოში (შემდგომში - „**საჯარო რეესტრი**") სრულ მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდება კომპანიის საკუთრების უფლება, კომპანიის მიერ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შემდეგ, სააგენტოს მიერ კომპანიის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობის საფუძველზე.

1.4. სააგენტო შესაბამის საკუთრების მოწმობას გასცემს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადებში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა და საჯარო რეესტრში უძრავი ქონება რეგისტრირდება ხელშეკრულების

საპრივატიზებო და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც შესაბამის მოწმობაში/ამონაწერში აისახება შემდეგი ჩანაწერით: **„შეძენილია საპრივატიზებო და ხელშეკრულების შესრულების პირობით“.** მიწის ნაკვეთის დაყოფის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება რეგისტრირებული უნდა იყოს დაყოფის შედეგად წარმოქმნილ ყველა საკადასტრო ერთეულზე.

1.5. ხელშეკრულების 1.4. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა საჯარო რეესტრის მიერ შესაძლებელია გაუქმდეს სააგენტოს მიერ, ვალდებულებების შესრულების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.6. ხელშეკრულების 1.4 პუნქტში მითითებული პირობების შესრულებამდე (შესაბამისი წესით დადასტურებამდე) გადაცემული მიწის ნაკვეთის განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ ამ ხელშეკრულებით, გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით, სააგენტოს წერილობითი თანხმობით, რისთვისაც არ მოითხოვება კოოპერატივის წევრების თანხმობა.

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობები

2.1. მიწის ნაკვეთი კომპანიას გადაეცემა სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად (შემდგომში - **„საპრივატიზებო საფასური“**). კომპანიის მიერ საპრივატიზებო საფასური გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან.

2.2. კომპანია ვალდებულია ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით, მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს, ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ამავე დანართით განსაზღვრული პირების სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია განახორციელოს, მშენებლობა დაასრულოს, შესაბამისი საცხოვრებელი ფართები აღნიშნულ პირებს საკუთრებაში ფაქტობრივად გადასცეს და შესაბამისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, პროექტის განხორციელების მიზნით, სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტის საფუძველზე, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, კოოპერატივის წევრები სრულად ამბობენ უარს მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

მუხლი 3. პროექტის განხორციელების ძირითადი პირობები

ივანე ბუჭიაშვილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას სააგენტო და კოოპერატივის წევრები საკუთრებაში გადასცემენ კომპანიას იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, კომპანია შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელებს ინდივიდუალურ საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციას (ე.წ „განშლას“) და კოოპერატივების წევრებსა და სააგენტოს, საჯარო რეესტრში პირის მომავალ მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით, გადასცემს სამომავლო საკუთრების უფლებას შესაბამის ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნულ ფართებს გადასცემს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით და უზრუნველყოფს მათზე ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

3.2. კომპანიის მიერ სააგენტოსა და კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 6 100 კვ.მ-ს, საიდანაც 728.057 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 5371.943 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს. ამ ხელშეკრულების დანართით განისაზღვრება კოოპერატივის თითოეული წევრისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ფართობი.

3.3. კომპანიის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, სააგენტო კომპანიას წერილობით მიაწვდის ინფორმაციას მისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების რაოდენობისა და თითოეული ბინის ფართობის შესახებ. კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას გაითვალისწინოს სააგენტოს მიერ მიწოდებული მონაცემები და აღნიშნული პროექტი შეათანხმოს ამ მონაცემებისა და საცხოვრებელი ფართების ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფართობების შესაბამისად.

3.4. კომპანია უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს კოოპერატივის წევრებისა და სააგენტოსათვის გადასაცემი ფართების პროექტირება და შეიტანოს მასში ცვლილებები, მათი წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა გადასაცემი ბინების ფართობის, რაოდენობის ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების ცვლილებისა. ამასთან, დასაშვებია ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული, კოოპერატივის წევრებისა და სააგენტოსათვის გადასაცემი ფართების ცდომილება ფართის შემცირების შემთხვევაში, არაუმეტეს 3 %-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, კოოპერატივის წევრებს ან/და სააგენტოს არ წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება კომპანიის მიმართ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართი აღემატება ამ ხელშეკრულების დანართით მისთვის გათვალისწინებულ ფართს, კომპანია გადასცემს მათ გაზრდილ ფართს და

აღნიშნულთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრ(ებ)ის/სააგენტოს მიმართ არ წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.

3.5. კომპანია ვალდებულია შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული ვადა არ მოიცავს ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად განსაზღვრულ ვადას.

3.6. კომპანია ვალდებულია პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლის ვადაში 3 ლოტად, შემდეგი წესით:

3.6.1. ლოტი I - სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 34%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 24 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 33 თვისა;

3.6.2. ლოტი II - სრული სამშენებლო ფართის შემდეგი 33%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს 3.6.1 პუნქტით გათვალისწინებული I ლოტის მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 39 თვისა.

3.6.3. ლოტი III - სრული სამშენებლო ფართის ბოლო 33%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს 3.6.2 პუნქტით გათვალისწინებული II ლოტის მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 თვისა.

3.7. კომპანია ვალდებულია პირველი ლოტიდან სააგენტოსა და კოოპერატივის წევრებს საკუთრებაში გადასცეს გადასაცემი ფართის ჯამური ოდენობის არანაკლებ 34%, ხოლო მეორე და მესამე ლოტიდან - 33-33% ამ ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში.

3.8. კომპანიის მიერ ხელშეკრულების 3.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების, კერძოდ, თითოეული სამშენებლო ლოტის მშენებლობის დასრულებისა და შესაბამისი პირებისთვის ამავე პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, ამავე ლოტით გათვალისწინებული უძრავი ქონება, სააგენტოს მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების საფუძველზე, თავისუფლდება საჯარო რეესტრში არსებული ვალდებულებისაგან, რაც არ საჭიროებს კოოპერატივის წევრთა თანხმობას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ვალდებულება გაუქმდება მხოლოდ შესაბამისი ლოტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე. დანარჩენ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული ვალდებულება, შესაბამის ლოტზე ხელშეკრულების 3.7 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე და შესაბამისი წესით დადასტურებამდე, რჩება უცვლელად.

3.9. კომპანია უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ფართი, რომელიც არ შედის კოოპერატივების წევრების ან

სააგენტოსთვის გადასაცემ ფართში, განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, მათ შორის, მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლებით გადასცეს იგი ნებისმიერ სხვა პირს, რისთვისაც არ არის საჭირო სააგენტოს ან/და კოოპერატივის წევრების თანხმობა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ ხელშეკრულების 1.4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა შესაძლებელია რეგისტრირებული იქნას აღნიშნულ ფართებზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით მიწის ნაკვეთზე შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების დადასტურებამდე.

3.10. სააგენტო უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მისთვის გადმოსაცემი/გადმოცემული ფართი განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, მათ შორის, მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლებით გადასცეს იგი ნებისმიერ სხვა პირს, რისთვისაც არ არის საჭირო კომპანიის ან/და კოოპერატივის წევრების თანხმობა.

3.11. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, კომპანიამ ვერ შეასრულა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის მოპოვების ან/და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულება რომელიმე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით/მიზეზით, აღნიშნული არ მიიჩნევა კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევად და მას ვალდებულების შესასრულებლად დამატებით განესაზღვრება ვადა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით/მიზეზით გაცდენილი ვადის შესაბამისად.

3.12. მშენებლობის ნებართვ(ებ)ის სრულად მოპოვებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, კომპანია ამხანაგობის თავმჯდომარეს და საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს/სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას მათთვის გადასაცემი საცხოვრებელი ბინების მდებარეობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ, წევრთა იდენტიფიკაციის (კონკრეტული ფართის კოოპერატივის კონკრეტულ წევრზე განპიროვნების) გარეშე. ამხანაგობის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების განაწილებას კოოპერატივის წევრებს და საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს/სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს შორის, კომპანიის მიერ მიწოდებული შეტყობინების შესაბამისად, ღია კენჭისყრის მეთოდით და მიღებული შედეგების შესახებ კომპანიას აცნობებს წერილობით, კომპანიის მიერ მისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში. სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული კენჭისყრა უნდა გაიმართოს სააგენტოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

3.13. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება მხოლოდ კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები საცხოვრებელი ფართების ოდენობა (დანართის შესაბამისად), ხოლო ფართის სხვა მახასიათებლები (ხედი, სართული, კონფიგურაცია) კომპანიასა და კოოპერატივების წევრებს შორის წინასწარ არ შეთანხმდება და განისაზღვრება 3.12 პუნქტით გათვალისწინებული ღია კენჭისყრის პრინციპის შესაბამისად.

3.14. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის მშენებლობა დასრულებულად მიიჩნევა, როდესაც შენობა-ნაგებობა მიაღწევს ამ ხელშეკრულების 3.16 პუნქტით გათვალისწინებულ „ოთხი კარკასის მდგომარეობას".

3.15. კოოპერატივების წევრებისა და სააგენტოსათვის გადასაცემი, ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების „თეთრი კარკასის მდგომარეობა" გულისხმობს შემდეგს:

- დასრულებული კორპუსის ფასადი და სახურავი;
- ბინის გარე პერიმეტრზე მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები (ორმაგი მინა პაკეტით) დამონტაჟებული;
- ბინაში შესასვლელი რკინის კარი (საკეტით) დამონტაჟებული;
პუნქტი	იანვარი	თებერ-ვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემ-ბერი	ოქტომ-ბერი	ნოემბერი	დეკემ-ბერი	წლის საშუალო
თბ. დ. დიღომი	5.1	5.3	6.2	8.6	12.4	14.8	16.9	16.6	14.0	10.8	8.1	5.8	10.4

ნალექების რაოდენობა

ცხრილი 15

პუნქტი	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
თბ. დ. დიღომი	560	146

ირიბი წვიმების რაოდენობა, განაწილება ორიენტაციების მიხედვით

ცხრილი 16

პუნქტი	ირიბი წვიმების რაოდენობა, მმ-ში			ირიბი წვიმების განაწილება ორიენტაციების მიხედვით, მმ/%							
	თვის მაქსიმუმი	თბილ პერიო-დისათვის	წელიწადში	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ
თბ. დ. დიღომი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

თოვლის საფარი

ცხრილი 17

პუნქტი	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა,მმ
თბ. დ. დიღომი	0.50	14	-

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები

ცხრილი 18

პუნქტი	w^0 5 წელიწადში ერთხელ, კპა	w^0 15 წელიწადში ერთხელ, კპა
თბ. დ. დიღომი	0.73	0.85

ქარის მახასიათებლები

ცხრილი 19

პუნქტი	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15, 20 წელიწადში ერთხელ მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
თბ. დ. დიღომი	28	33	35	36	37	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

ცხრილი 20

პუნქტი	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
თბ. დ. დიღომი	0	0	0	0

II.2. ჰიდროგრაფია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდ. მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება თოვლით, წვიმით და მიწის-ქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემო-დგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია: დიღმისწყალი, ვერე და წავკისისხევი.

ქალაქის სამხრეთ ნაწილში მტკვარს მარჯვნიდან უერთდება პერიოდულად მოქმედი მდ. წავკისისხევი, რომელიც ს. წავკისის შემოგარენში იწყება და სოლოლაკის ქედის აღმო-სავლეთ დაბოლოებასთან ერთვის მას. იგი ღრმად არის ჩაჭრილი ტუფოგენურ წყებებში და ციცაბოფერდობიანი ვიწრო ხეობით გამოირჩევა. მდ. წავკისის წყალი სათავეს იღებს მთა-წმინდის ქედზე, უძოს მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზე. სიგრძე 2 კმ-ია, აუზის ფართობი 21.3 კმ^2-ია. მდინარე საზრდოობს წვიმის, თოვლის და მიწისქვეშა წყლებით. ახასიათებს გაზაფხულის წყალდიდობა და ძლიერი წყალმოვარდნა. საშუალო წლიური ხარჯი 2.6 მ^3/წმ.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფი-ული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. ამან გამოიწვია ლანდშაფტის ნაირგვაროვნება, რომე-ლიც გამოიხატა, აქ ორი ძირითადი ტიპისა და ერთი ქვეტიპის გავრცელებაში. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართ-ველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით მთიან ნაწილებში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

II.3. გეომორფოლოგია

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ერო-ზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვარია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენანაპი-რეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი

უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

თბილისის მიდამოებში არის რელიეფის მსხვილი ფორმები, რომელთა წარმოქმნაში წამყვანი როლი ტექტონიკურმა პროცესებმა შეასრულა: სხვადასხვა დროის ოროგენეტიკური მოძრაობების შედეგად აქ ჩაისახა და განვითარდა სინკლინური და ანტიკლინური ნაოჭები, შეიქმნა რელიეფის მსხვილი სტრუქტურული ფორმები. ოროგრაფიული ერთეულებიდან თბილისის სამხრეთ საზღვარზეა თელეთის ქედი, რომლის სიგრძე მდ. მტკვრიდან დასავლეთით 13-14 კმ-ია, ამავე მიმართულებით ქედი მაღლდება 441.0 მ-დან 1100.0 მ-მდე. თელეთის ქედზე მდებარეობს მწ. შავნაბადა (825 მ). თელეთის ქედის გაგრძელებას დასავლეთით წარმოადგენს კოჯორ-საყარაულოს ქედი (მწ. საყარაულო 1473 მ), რომელიც დასავლეთით თანდათან მაღლდება და მდინარეების ვერესა და ალგეთის საკმაოდ მაღალი წყალგამყოფით უკავშირდება თრიალეთის მთავარ ქედს. თელეთის ქედის სამხრეთით მდებარე კუმის-წალასყურის ვაკე და კუმისის ტაფობი ვაკე - წალასყურის სერით ორად იყოფა: წალასყურის (აღმოსავლეთით) ვრცელ და მაღალ (ზ.დ. 600-700 მ) და კუმისის (დასავლეთით) შედარებით დაბალ (ზ.დ. 500 მ-მდე) და მცირე ვაკედ.

თბილისის სამხრეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მდებარეობს ფონიჭალის ვაკე, რომელსაც ჩრდილოეთით თელეთის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით იაღლუჯის მაღლობის ჩრდილოეთი კალთები, დასავლეთით კუმის-წალასყურის ვაკის აღმოსავლური კიდე და ის ბექობი, კუმისის ტბას რომ ეკვრის აღმოსავლეთიდან. ფონიჭალის ვაკე მტკვრის ნაპირამდე ვრცელდება, მისი ზედაპირი სწორია და დაფარულია მეოთხეული ასაკის ფხვიერი დანალექებით. თელეთის ქედის ჩრდილოეთით, მტკვართან ახლოს, ჩადაბლებულ ადგილში მდებარეობს კრწანისის ვაკე. მას სამკუთხედის ფორმა აქვს ფუძით მტკვრისაკენ. ჩრდილოეთით მას თაბორის ქედი ესაზღვრება, სამხრეთით თელეთის ქედი. აბსოლუტური სიმაღლე 380-425 მეტრის ფარგლებში მერყეობს. სიგრძე 2.5 კმ-ია, სიგანე 0.2-1.0 კმ-ია. ვაკე აგებულია მეოთხეული ფხვიერი დანალექებით.

აღმოსავლეთი დაბოლოებით თბილისის ფარგლებშია შემოჭრილი და თითქმის მტკვრამდე აღწევს თაბორის ქედი, რომლის ჩრდილოეთ ფერდი ციცაბოა, სამხრეთი კი დამრეცი. უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს ტუფოგენური წყებით აგებული სოლოლაკის ქედი, რომელიც დასავლეთი ბოლოთი მთაწმინდის ქედს უერთდება. მთაწმინდის ქედი დასავლეთით მაღლდება და თელეთის ქედს ებმის. აღმოსავლეთით კი ციცაბო ფერდობით აწყდება თბილისს. მასზე მდებარეობს ფუნიკულიორის პლატო (ზ.დ. 725 მ). დასავლეთ

ნაწილში კი მთა უძო, რომლის სიმაღლე ზ.დ. 1418 მ-ს აღწევს. მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს ლისის ქედი.

II.4. შესწავლილობა, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება

II.4.1. საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

ქ. თბილისისათვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949 წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები განზოგადოებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ.

გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები 1:50000 მასშტაბში აღმოსავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე) ჩატარებულია 1985-1900 წლებში (მ. გამყრელიძე, თ. კოპაძე). ასევე უფრო ადრე ქართლის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესახებ საკითხები განხილულია ა. ჯანელიძის შრომებში (1970 წ).

ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971 წ), დ. წერეთელს (1886 წ), მ. ასტახოვს (1973 წ) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

II.4.2. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის

ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი მიდამოები აგებულია მესამეული ასაკის ტერიგენული და ტუფოგენური ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეულ (მდინარეულ და ტბიურ) დანალექებს.

მარჯვენა ნაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედა ეოცენურ დანალექებს, რომელიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. ამ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები უხეშშრეობრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფარით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთისა და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით. თელეთის ქედის დასავლეთ გაგრძელებაზე მდებარე კოჯორის ქედის აგებულებაში ეოცენის თიხებთან და ქვიშაქვებთან ერთად, მონაწილეობს აგრეთვე შუა ეოცენის ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფობრექჩიები, ქვიშაქვები და ფიქლები. ოლიგოცენ-შუამიოცენის ასაკის თაბაშირიანი თიხებით და ქვიშაქვებით არის აგებული შედარებით მცირე ფართობი, დიღმის ვაკის დასავლეთით მდებარე თრიალეთის ქედის მთისწინეთი.

თბილისსა და მის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდინარე მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. ახალგაზრდა (თანამედროვე) ალუვიური ნალექები კენჭნარისა და ქვიშებისაგან შედგება და ვიწრო ზოლად გასდევს მდ. მტკვარს. მეოთხეული ალუვიური კენჭნარებით, ქვიშებით, თიხნარით და თიხებით არის დაფარული დიღმის და ფონიჭალის ვაკე. დელუვიურ-პროლუვიური ნალექები, რომელიც მეტწილად თიხნარების, ლიოსისებური თიხებისა და ღორღისაგან შედგება, გავრცელებულია მთაწმინდისა და თელეთის ქედის ფერდობებზე, საბურთალოს და დიღმის მიდამოებში. თვით ქალაქში და მის მიდამოებში განვითარებულია ტბიური ნალექები: კუმისის და ლისის ტბების ქვაბულში, ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე და სხვა.

თბილისსა და მის მიდამოების რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტოქედ-

ზე. თბილისის მეწყერები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალ-ჭრელიძეს.

II.5. ჰიდროგეოლოგია

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის (აკად. ბუა-ჩიძე) მიხედვით, საკვლევი ტერიტორია შედის თბილისის წნევიანი, ნაპრალოვანი და ნაპ-რალოვან-კარსტული წყლების სისტემაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყა-როების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩ-ნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხო-ვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით. მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირის მაღალი ტერასები თითქმის უწყლოა, იშვიათად ძირითადი ქანების კონტაქტზე გვხვდება მაღალი მინერალიზაციის გრუნტის წყლები სულფატურ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობის და მცირე დებიტიანი. ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები გავრცე-ლებულია შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექ და ზედა ცარცულ კარბონატულ დასტებთან.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილი-სის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორი-დულ-ნატრიუმიანი წყლები საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპე-რატურა 50 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, მტკვრისა და იორის შუამდინარეთში, შუა მიო-ცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალო-ვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

წყალდაწნევითი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში ზედა პლიოცენის ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებთან არის დაკავშირებული მცირე წნევიანი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი წყლები.

II.6. სეისმოლოგია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისი-მანგლისის ქვეზონაში, რომელიც მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამაკვეთი ტექტონიკური რღვევებით. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

თბილისში (6-7 ბალი) – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში. XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების ბიძგების ხანგრძლივობა 2.1-დან 3.6 წამამდე მერყეობს. სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

ქვემოთ მოგვყავს სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და მის მიმდებარედ, არსებული დასახლებული პუნქტებისათვის:

1. დიდი დიღომი - 0.15 მ/წმ^2; 2. ქ. თბილისი - 0.17 მ/წმ^2; 3. შინდისი - 0.14 მ/წმ^2;

4. წავკისი - 0.14 მ/წმ^2; 5. ტაბახმელა - 0.14 მ/წმ^2.

III. სპეციალური ნაწილი

III.1. საამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საამშენებლო მოედანი განთავსებულია, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, არჩილ მეფის ქ. №17-ში, მიმდებარე ტერიტორიის ურბანიზაცია ინტენსიურად მიმდინარეობს. საამშენებლო მოედანი ჩრდილოეთის მხრიდან გადის არჩილ მეფის ქუჩაზე, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან შემოფარგლულია დაუსახლებელი ნაკვეთებით. ტერიტორიაზე გადის ამორტიზებული სადრენაჟო კოლექტორი. რელიეფი სახეცვლილია (ტექნოგენური), მოსწორებულია. ზოგადად იგი წარმოადგენს წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდს.

შესწავლილ სიღრმეზე ტერიტორია აგებულია ზედა პალეოგენური ასაკის თხელშრეებრივი ქვიშაქვებითა და სუბარგილიტებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია დელუვიალურ-პროლუვიალური გენეზისის თიხა-თიხნაროვანი ნალექებით. საამშენებლო მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 495-499 მ-ია.

შენობის განთავსების ტერიტორიაზე გაიბურღა საინჟინრო-გეოლოგიური დანიშნულების 2 ჭაბურღილი, საერთო მოცულობით 34.0 გრძ.მ.

ჭაბურღილებით გახსნილ სახასიათო გეოლოგიურ ჭრილს აქვს შემდეგი სახე:

I-ფენა(tQ_4) - ნაყარი გრუნტი თიხნარი, ტენიანი, საამშენებლო ნარჩენებით (აგურის და ბეტონის ნატეხები), ღორღის და ხვინჭის ჩანართებით.

II-ფენა(mQ_4) - თიხა მოყვითალო ყავისფერი, ნაცრისფერი თიხების ზოლებით და ბუდობებით, ტენიანი, ძნელადპლასტიკური, მტვეროვანი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით.

ჭაბურღილებით შესწავლილ სიღრმეზე გრუნტის წყლების გამოვლინება არ აღინიშნება. ბურღვისა და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

III.2. ლაბორატორიულ-გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები

საველე საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგად სტანდარტი 20522-75-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ გამოიყო 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე): **სგე-1 - თიხა.**

ნაყარი ფენა, როგორც სგე არ განიხილება, რადგანაც იგი იხსნება პროექტით გათვალისწინებული შენობების ფუნდირების პირობებიდან გამომდინარე, თუმცა 1 სინჯზე ჩატარდა ფიზიკური თვისებების გამოკვლევები.

ჭაბურღილი N2, ნიმუშის აღების სიღრმე -1.5 მ ;

NN	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	განზომილების ერთეული	ნაყარი გრუნტი
1	სიმკვრივე, ρ ,	გ/სმ³	1,60
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე, $\rho_ღ$	გ/სმ³	1.27
3	გრუნტის ნაწილაკის სიმკვრივე, $\rho_ს$	გ/სმ³	2,66
4	ბუნებრივი ტენიანობა, W	%	25.5
5	ტენიანობა დენადობის ზღვარზე, W_L	ერთ. ნაწ.	0,34
6	ტენიანობა პლასტ. ზღვარზე, W_P	ერთ. ნაწ.	0,18
7	პლასტიკურობის რიცხვი, I_P	ერთ. ნაწ.	0,16
8	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ერთ. ნაწ.	1.09
9	დენადობის მაჩვენებელი, I_L	ერთ. ნაწ.	0,47(ძნელ. პლასტ.))
10	ტენიანობის ხარისხი, S_r	ერთ. ნაწ.	0.62(ტენიანი)
11	საანგარიშო წინაღობა, R_0	კგძ/სმ²	1,0(ᲡᲜ 02.01-08)“დან.3, ცხ.5

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

პროფესორი მ. მარდაშოვა

საამშენებლო მოედანზე აღებული სინჯების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მოცემულია ცხრილებში 1-4. გრუნტის ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდის შედეგები მოცემულია გრაფიკებზე 1-6.

ზემოთ ჩამოთვლილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის გეოტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრა სნ და წ-ისა და სტანდარტების მიხედვით:

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მშენებლობისათვის - ს.პ.11-105-97.
- გრანულომეტრიული შემადგენლობა - სტანდარტი 12.536-79.
- ფიზიკური თვისებები - სტანდარტი 51.80-84.
- სიმტკიცის მახასიათებლები - სტანდარტი 12.248-78.
- დეფორმაციის მახასიათებლები - სტანდარტი 23.408-79.
- გრუნტების კლასიფიკაცია - სტანდარტი 25.100-82.
- გრუნტების საანგარიშო წინააღმდეგობა R_0, -პნ 01.02-08 (ნაგებობათა ფუძეები).
- ზღვრული წინააღ.ერთღერძა კუმშვაზე Rs კგძ/სმ^2-პნ 01.02-08 (ნაგებობათა ფუძეები).
- კლიმატური პირობები – პნ. 01.05-08(„საამშენებლო კლიმატოლოგია“).
- გრუნტებისა და საამშენებლო მოედნის სეისმურობა - პნ. 01.01. 09 ცხრ.1. (სეისმომედეგი მშენებლობა).
- ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით - სტანდარტი 20-522-75.

სგე-1, თიხა

გრანულომეტრიული შემადგენლობა, %:

- ღორღი - 0.5
- ხვინჭა -12.0
- ქვიშა - 17.0
- მტვერი - 10.9
- თიხა - 59.6

- ფრაქციის შემცველობა:

- წვრილმარცვლოვანი ფრაქცია, %, d < 2 მმ – 87.5
- მსხვილმარცვლოვანი ფრაქცია, %, d > 2 მმ – 12.5

ნორმატიული სიდიდეები:

- ბუნებრივი ტენიანობა, $W^ნ$ % – 30.0
- სიმკვრივე გ/სმ^3:

ა) ბუნებრივი, ρ – 1.84

ბ) ჩონჩხის, $\rho_d^ნ$ – 1.42

- ფორიანობა, n % - 47.9

- ფორიანობის კოეფიციენტი, $e^ნ$ – 0.921

- პლასტიკურობის რიცხვი, $Jp^ნ$ – 0.23

- დეფორმაციის მოდული, $E^ნ$ კგძ/სმ^2 (პნ. 02.01.08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში - 190

- შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi^ნ$, გრადუსებში (პნ. 02.01.08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 17^0 (tgφ = 0.3057)

- შეჭიდულობა $C^ნ$ კგძ/სმ^2: (პნ. 02.01.08)

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 0.50

- ჯდენის მოდული, $l_ჩ$ მმ/მ - 46.7

-კუმშვადობის კოეფიციენტი, a 10^{-5}პა$^{-1}$ - 0.017(საშუალო)

- კონსისტენციის მაჩვენებელი, J_L - 0.37 (მნელადპლასტიკური).

საანგარიშო სიდიდეები:

- ტენიანობა, $W^ს$%, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $W^ს$ – 23.1-21.9

- ბუნებრივი სიმკვრივე, $\rho^ს$ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $\rho_d^ს$ – 1.88-1.80

- ჩონჩხის სიმკვრივე, $\rho_d^ს$ გ/სმ^3, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $\rho_d^ს$ – 1.45-1.39

- ფორიანობის კოეფიციენტი, $e^ს$, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

α = 0.95 $e^ს$ – 0.957-0.885

პლასტიკურობის რიცხვი $J_P^ს$, სანდო ალბათობის α უზრუნველყოფის პირობებში:

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში:

α = 0.95 $J_P^ს$ – 0.26-0.20

- დეფორმაციის მოდული $E^ს$ კგძ/სმ^2 - 1900 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.0 გათვალისწინებით).

- შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi^ს$, გრადუსებში (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.15 გათვალისწინებით).

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – $14^o53'$ (tgφ = 0.2658)

- შეჭიდულობა, $C^ს$ კგძ/სმ^2 (უსაფრთხოების კოეფიციენტი - 1.5 გათვალისწინებით).

ა) ბუნებრივი ტენიანობის პირობებში – 0.333

- საანგარიშო წინააღმდეგობა, კონსისტენციის J_L =0.37 და e=0.921 ფორიანობის კოეფიციენტის პირობებში, შეადგენს R_0 = 2.3კგძ/სმ^2.

- ქვაბულის ქანობი - 1:0.5 (63^0)

- საგების კოეფიციენტი, K კგ/სმ^3 - 0.3

- პუასონის კოეფიციენტი, μ - 0.41

- ქვაბულის ქანობი m - 1:0.5 (63^0)

- გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II.

- გრუნტის დამუშავების კატეგორია - III, სნ და წ. IV-5 82, ცხრ.1, პ-8, ქპ გ.

III.3. გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგი

ჭაბურღული №2-იდან 2.5 მეტრიდან აღებული გრუნტის ნიმუშიდან დამზადებული გამონატუტის საერთო მინერალიზაციის სიდიდე შეადგენს 0.18 გ/ლ. ქიმიური შედგენილობით სულფატურ კალციუმიან-მაგნიუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. წყალბად-იონის კონცენტრაციის მაჩვენებელი ნეიტრალურის ფარგლებშია.

განსახილველი გარემოს აგრესიულობას განაპირობებს შესწავლილ გრუნტებში ხსნადი სულფატური და ქლორიდული მარილების არსებობა. აგრესიულობის ცხრილი მოცემულია ცხრილ 5-ში და ამიტომ, ცალკეულ დეტალებზე არ შევჩერდებით.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი მ. მარდაშოვა

IV. დასკვნები და რეკომენდაციები

1. საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის მიხედვით განეკუთვნება მარტივი სირთულის (I) კატეგორიას.

2. საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის მანგლისი-თბილისის ქვეზონის ფარგლებში.

3. საკვლევ უბანზე ჭაბურღილებში გრუნტის წყლები არ გამოვლენილა.

4. საკვლევი უბნის და მის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში თანამედროვე საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების კვალი ამჟამად არ აღინიშნება. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უბანი მდგრადია და არსებული პირობები მშენებლობისათვის სრულიად მისაღებია.

5. შენობების საძირკვლების ჩაღრმავების გათვალისწინებით, ფუძე-გრუნტად უნდა გამოყენებული იქნას სგე-1-ის თიხები, რომლის საანგარიშო წინააღმდეგობად ბუნებრივი ტენიანობის პირობებში მისაღებია R_0=2.3 კგძ/სმ^2.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ძირითადი ნორმატიული და საანგარიშო პარამეტრები.

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები		
		ინდექსი	განზ.	სგე-1
1	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	30.0
2	სიმკვრივე ბუნებრივი	ρ	გ/სმ^3	1.84
3	სიმკვრივე ჩონჩხის	$ρ_d$	გ/სმ^3	1.42
4	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.921
5	პლასტიკურობის რიცხვი	J_L	ერთ.ნაწ.	0.25
6	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0.333
7	შინაგანი ხახუნის კუთხე	$φ^0$	გრად.	14^{0}53’
8	კონსისტენციის მაჩვენებელი	J_L	ერთ.ნაწ.	0.37
9	წყალშემცველობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.86
10	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	190
11	ჯდენის მოდული	l_p	მმ/მ	46.7
12	კუმშვადობის კოეფიციენტი	a	10^{-5}პა$^{-1}$	0.017
13	საანგარიშო წინაღმდეგობა	R_0	კგძ/სმ^2	2.3
14	საგების კოეფიციენტი	K	კგ/სმ^3	0.3
15	პუასონის კოეფიციენტი	μ	-	0.41

6. შენობების დასაფუძნებლად მისაღებია, როგორც წერტილოვანი (ანაკრები ან კომბინირებული), ასევე რკინაბეტონის ფილის ტიპის საძირკვლები კენჭნარ-ხრეშოვანი მასალის ბალიშზე. ბალასტის მასალა უნდა დაიტკეპნოს მაქსიმალურ სიმკვრივემდე, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ოპტიმალური ტენიანობის პირობებში.

7. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას, შესაბამისად საამშენებლო მოედნის სეისმურობად მისაღებია - 8 ბალი. (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. საამშენებლო ნორმებისა და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ.

ინჟინერ-გეოლოგი ბ. დევდარიანი



ნახ.1. ჭაბურღილების განლაგების რუკა
თბილისი,არჩილ მეფის ქუჩა №13, სახ#1.
(ს/კ: 01.10.08.006.230) მასშტაბი 1:1000
პირობითი ნიშნები: ⊙ ჭ.1 ჭაბურღილი 1

ჭაბურღილი N 1

ნახ.2. ლითოლოგიური სვეტი

დაწყების თარიღი: 21.12.2020წ						მდებარეობა: ქ. თბილისი, დ.დიღომი, არჩილ მეფის ქ. №13, №15-ის მიმდებარედ,		აბს.ნიშ.Z=497.50 მ მასშ. 1:120	
დასრულების თარიღი: 21.12.20.2020 წ									
გაყვანის მეთოდი: ბრუნვითი						ბურღვის d=127 მმ. სვეტური, მშრალად			
ფენის N	გეოლ. ინდექსი	ფენის სახურავის სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე	ფენის სახურავის აბს. ნიშნული, მ	ჭრილის გრაფ. სახე	გრუნტის აღწერა	გრუნტის წყლის გამოვლინება, მ	გრუნტის სინჯის აღების სიღრმე, მ
		დან	მდე						
1	2	3	4	6	7	8	9	10	11
1	tQ_4	0.0	3.2	3.2	494.3		ნაყარი, თიხნარი, ხვინჭა, საამშენებლო ნარჩენები (აგურის, ბეტონის ნატეხები), სუსტად შეკავშირებელი	-	2.5
2	mQ_4	3.2	17.0	13.8	480.5		თიხა მოყვითალო ყავისფერი, ნაცრისფერი თიხების ზოლებით და ბუდობებით, ტენიანი, ძნელადპლასტიკური, მტვეროვანი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით	-	3.5 5.5 7.0

ინდ/მეწარმე	გრუნტის წყლის სტატიკური დონე, მ -	შემსრულებელი ბ. დევდარიანი
	პროექტის დასახელება	
	მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი	
	საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები	

ჭაბურღილი N 2

ნახ.3. ლითოლოგიური სვეტი

დაწყების თარიღი: 21.12.2020წ						მდებარეობა: ქ. თბილისი, დ.დიღომი, არჩილ მეფის ქ. №13, №15-ის მიმდებარედ,		აბს.ნიშ.Z=497.60 მ მასშ. 1:120	
დასრულების თარიღი: 21.12.20.2020 წ									
გაყვანის მეთოდი: ბრუნვითი						ბურღვის d=127 მმ. სვეტური, მშრალად			
ფენის N	გეოლ. ინდექსი	ფენის სახურავის სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე	ფენის სახურავის აბს. ნიშნული, მ	ჭრილის გრაფ. სახე	გრუნტის აღწერა	გრუნტის წყლის გამოვლინება, მ	გრუნტის სინჯის აღების სიღრმე, მ
		დან	მდე						
1	2	3	4	6	7	8	9	10	11
1	tQ_4	0.0	2.2	2.2	495.4		ნაყარი, თიხნარი, ხვინჭა, საამშენებლო ნარჩენები (აგურის, ბეტონის ნატეხები), სუსტად შეკავშირებელი	-	-
2	mQ_4	2.2	17.0	14.8	480.6		თიხა მოყვითალო ყავისფერი, ნაცრისფერი თიხების ზოლებით და ბუდობებით, ტენიანი, ძნელადპლასტიკური, მტვეროვანი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით	-	2.5 4.5 6.5

ინდ/მეწარმე	გრუნტის წყლის სტატიკური დონე, მ -	შემსრულებელი ბ. დევდარიანი
	პროექტის დასახელება	
	მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი	
	საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები	

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ჭაბურღილების 1-2 სწვრივზე
მასშტაბი: 1:130



ნახ. 4

პირობითი ნიშნები



ნაყარი, თიხნარი, ხვინჭა, საამშენებლო ნარჩენები (აგურის, ბეტონის ნატეხები), სუსტად შეკავშირებელი



თიხა მოყვითალო ყავისფერი, ნაცრისფერი თიხების ზოლებით და ბუდობებით, ტენიანი, ძნელადპლასტიკური, მტვეროვანი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით



1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი



ჭაბ. ნომერი 1
17.0 - სიღრმე მ.

ფოტომასალა






BS-078-BB







საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, საბურთალოს რ-ნში, არჩილ მეფის ქ. №13/15-ის მიმდებარედ (ნაკ. ს/კ: 01.10.08.006.230), მრავალსართულიანი №1 საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „ენსი ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2020 წლის დეკემბერში ქ. თბილისში, საბურთალოს რ-ნში, არჩილ მეფის ქ. №13/15-ის მიმდებარედ (ნაკ. ს/კ: 01.10.08.006.230), მრავალსართულიანი №1 საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, საბურთალოს რ-ნში, არჩილ მეფის ქ. №13/15-ის მიმდებარედ (ნაკ. ს/კ: 01.10.08.006.230), მრავალსართულიანი №1 საცხოვ-რებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი/მ ბესიკ დევდარიანს „B&G“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის დეკემბერში. მათ მიერ მოძიებულ იქნა არსებული საფონდო და ლიტერატურული მასალები. განხორციელებულია ტერიტორიის სარეკოგნოსცირებო და ვიზუალური დათვალიერება არასასურველი გეოდინამიკური პროცესების გამოვლენის მიზნით. ჩატარებულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. შესრულებულია შესაბამისი სახეობისა და მოცულობის ბურღვითი და ლაბორატორიული სამუშაოები: ნიმუშების აღება, კონსერვაცია და ტრანსპორტირება შესაბამისი სტანდარტების გათვალის-წინებით. საველე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინჟინერ-გეოლოგის ბ. დევდარიანის მიერ, გრუნტების კვლევა სტუ-ს ლაბორატორიაში, ხოლო გრუნტის გამონატუტის ანალიზები შესრულებულია პროფესორ მ. მარდაშოვას მიერ. დასკვნა შედგენილია ინჟინერ-გეოლოგ ბ. დევდარიანის მიერ.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 18 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა ..... 1 გვ;
4. ტოპორუკა გამონამუშევრების დატანით ..... 1 ფურც;
5. გრუნტების კვლევის კრებსითი ცხრილი ..... 1 ფურც;

6. გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის შედეგები ..... 1 ფურც;
7. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები ..... 1 ფურც;
8. სიმტკიცის მახასიათებლების ექსპერიმენტული მონაცემების ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით დამუშავება ..... 1 ფურც;
9. გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგები ..... 1 გვ;
10. გრუნტის კომპრესიული კვლევის შედეგები ..... 3 გვ;
11. გრუნტის ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდის შედეგები ..... 3 გვ;
12. გრუნტის ლითოლოგიური ჭრილი ..... 2 ფურც;
13. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც;
14. პირობითი აღნიშვნები ..... 1 ფურც;
15. ფოტომასალა ..... 6 ფოტო.

პროექტი ითვალისწინებს საბურთალოს რ-ნში, არჩილ მეფის ქ. №13/15-ის მიმდებარედ, 13 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, სარდაფის გარეშე. შენობა კარკასულია, ბლოკის შევსებით მიახლოებითი ზომებით გეგმაში 35.0 X 17.0 მ. საძირკვლის სავარაუდო ტიპი გადაწყდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებიდან გამომდინარე. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - IV.

საამშენებლო მოედანი განთავსებულია, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, არჩილ მეფის ქ. №13 და№15-ის, მიმდებარე ტერიტორიის ურბანიზაცია ინტენსიურად მიმდინარეობს. სამშენებლო მოედანი ჩრდილოეთის მხრიდან გადის არჩილ მეფის ქუჩაზე, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან შემოფარგლულია დაუსახლებელი ნაკვეთებით. ტერიტორიაზე გადის ამორტიზებული სადრენაჟო კოლექტორი. რელიეფი სახეცვლილია (ტექნოგენური), მოსწორებულია. ზოგადად იგი წარმოადგენს წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდს. შესწავლილ სიღრმეზე ტერიტორია აგებულია ზედა პალეოგენური ასაკის თხელშრეებრივი ქვიშაქვებითა და

სუბარგილიტებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია დელუვიალურ-პროლუვიალური გენეზისის თიხა-თიხნაროვანი ნალექებით. საამშენებლო მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 495-499 მ-ია.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის, მისი გეოლოგიური ჭრილებისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი თითოეული 17,0მ სიღრმის, ჯამური სიგრძით 34,0 გრძ.მ.

საველე და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოიყო გრუნტების შემდეგი სახესხვაობები:

1. **I ფენა (tQ₄)** - ნაყარი გრუნტი თიხნარი, ტენიანი, საამშენებლო ნარჩენებით (აგურის და ბეტონის ნატეხები), ღორღის და ხვინჭის ჩანართებით. ფენის სიმძლავრე 2,2-3,2მ. ნაყარი ფენა, როგორც სგე არ განიხილება, რადგანაც იგი

იხსნება პროექტით გათვალისწინებული შენობის ფუნდირების პირობებიდან გამომდინარე, თუმცა 1 სინჯზე ჩატარდა ფიზიკური თვისებების გამოკვლევები პროფ. მარდაშოვას მიერ.

ბუნებრივი ტენიანობა		W%	25,5
ბუნებრივი სიმკვრივე		გ/სმ^3	1.60
ჩონჩხის სიმკვრივე	$d_б$	გ/სმ^3	1.27
პლასტიკურობის რიცხვი	Jp	-	0.16
კონსისტენციის მაჩვენებელი	J_L	ერთ.ნაწ.	0.47
წყალშემცველობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.62
საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	1,0

2. **II ფენა (mQ$_4$) - სგე I** თიხა, მოყვითალო ყავისფერი, ნაცრისფერი თიხების ზოლებით და ბუდობებით, ტენიანი, ძნელადპლასტიკური, მტვეროვანი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით. გავრცელებულია მეორე ფენის სახით მთელ დაძიებულ სიღრმემდე 17,0მ.

ბუნებრივი ტენიანობა		W%	30,0
ბუნებრივი სიმკვრივე		გ/სმ^3	1.84
ჩონჩხის სიმკვრივე	dб	გ/სმ^3	1.42
პლასტიკურობის რიცხვი	Jp	-	0.25
ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0.33
შინაგანი ხახუნის კუთხე	$_0$	გრად.	14^{0}53’
კონსისტენციის მაჩვენებელი	J_L	ერთ.ნაწ.	0.37
წყალშემცველობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.86
დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	190
ჯდენის მოდული	lp	მმ/მ	46,7
კუმშვადობის კოეფიციენტი	a	მპა$^{-1}$	0.017
საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	2.3
საგების კოეფიციენტი	k	კგ/სმ^3	0.3
პუასონის კოეფიციენტი		-	0.41

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული

ქანების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ ჭაბურღილებით შესწავლილ სიღრმეზე გრუნტის წყლების გამოვლინება არ აღინიშნება. ჭაბურღული №2-დან 2.5მ სიღრმიდან აღებული გრუნტის ნიმუშიდან დამზადებული გამონატუტის საერთო მინერალიზაციის სიდიდე შეადგენს 0.18 გ/ლ. ქიმიური შედგენილობით სულფატურ კალციუმიან-მაგნიუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. წყალბად-იონის კონცენტრაციის მაჩვენებელი ნეიტრალურის ფარგლებშია. განსახილველი გარემოს აგრესიულობას განაპირობებს შესწავლილ გრუნტებში ხსნადი სულფატური და ქლორიდული მარილების არსებობა.

საკვლევი ტერიტორია, განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, ხოლო სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,15.

ავტორი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო რაიონს მიეკუთვნებს I - მარტივი სირთულის კატეგორიას. საკვლევი უბნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში თანამედროვე საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების კვალი ამჟამად არ აღინიშნება. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უბანი მდგრადია და არსებული პირობები მშენებლობისათვის სრულიად მისაღებია. ავტორი იძლევა რჩევებს საძირკვლის ტიპის შერჩევაზე, თუმცა ეს საბოლოო ჯამში მაინც კონსტრუქტორის პრეროგატივაა.

დასკვნა

ქ. თბილისში, საბურთალოს რ-ნში, არჩილ მეფის ქ. №13/15-ის მიმდებარედ (ნაკ. ს/კ: 01.10.08.006.230), 13 სართულიანი, უსარდაფო, №1 საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი: *ია მშვიდობაძე*



CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის №57, ბ.7;
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო	გამოქვეყნებული მაქვს **25 სამეცნიერო შრომა; სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ №064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში შპს ალდა ჯგუფის საკუთრებაში არსებულ №035/796 ნაკვეთზე მრავალსართულიანი (მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის პროექტის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში"; "ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ.№ 20-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში და დასკვნა-რეკომენდაციები"; "ბათუმში მელიქიშვილის ქ.90-ში ს/კ05.27.46.023 7 სართულიანი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის საექსპერტო დასკვნა"-2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ „ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვ. №01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; „ქ.თბილისში, ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ, საცხოვრებელი კომპლექსი "ოდა"-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში" 2018წ;"ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.№90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ.ქ.თბილისში, ლისის ტბასა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2019; „ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019;"ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში, აეროპორტის გზატკეცილი 241ა (ს/კ 05.32.24.074) 4 სართულიან სასტუმროზე 2 სართული დაშენებისა და 2 მ სიგანის ფართის მიშენებისათვის სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები"2019. საექსპერტო შეფასება ანგარიშზე: „საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვახუშტის, III მკრ. II კვ. კორ. №16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. „ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №15-ში, ნაკვ. №86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით


Georgia
IDENTITY CARD
საქართველოს პირადობის მოწმობა
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
02.11.2022
ბარათის No / CARD No
12IB83718
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
02.11.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE012IB837185010240230585<<<<
6210216F2211020GEO<<<<<<<<<<<3
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის სექტემბერი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის

G 04.06 N5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით

(ოქმი № 3 28.05.2003)

ია მშვიდობაძეს

მიენიჭა გეოლოგიურ-მინერალოგიურ 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გასცა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003

Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences

By decision of the Dissertation Board G 04 06 N5

(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES

Geological - Mineralogical 04.00.07,

WAS CONFERRED ON

Ia Mshvidobadze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Exsperts G. Kharadze

დიპლომი

ЛВ № 055149

ეს დიპლომი მიეცა ია
ნოდარის ასულ მშვიდობაძეს
მასზე, რომ იგი 1979 წელს შევიდა
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
[illegible]
და 1984 წელს [illegible]
[illegible]
სრული კურსი [illegible]
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ.
„28" ივნისის გადაწყვეტილებით
ი.ნ. მშვიდობაძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984 „1" X

სარეგისტრაციო № 1677

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан Мшвидобадзе
Ие Нодаровне
в том, что она в 1979 году поступила
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1984 году окончила полный курс
названного
института
по специальности промышленное
и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „28" июня 1984 г.
Мшвидобадзе И.Н.
присвоена квалификация инженера-
строителя.

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „1" X 1984 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Гознака. 1983.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები
(დასკვნა)

ქ. თბილისი, დ. დიღომი, არჩილ მეფის ქ. №13 და №15-ის მიმდებარედ.(ნაკ. ს/კ: 01.10.08. 006/230), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების(##2;3;4;5;) საამშენებლო მოედანი





ინდ. მეწარმე ბ. დევდარიანი

თბილისი 2020 წ.

ტექნიკური დავალება

გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

15 დეკემბერი 2020 წ.

დამკვეთი: შპს,, ენსი გრუპი“(ს/კ:405186 365)

ობიექტის დასახელება - მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

მშენებლობის ტიპი – ახალი მშენებლობა.

ობიექტის მისამართი-ქ.თბილისი, საბურ. რაიონი, დ. დიღომი(ნაკ. ს/კ: 01.10.08.006.230).

დაპროექტების სტადია - სამშენებლო დოკუმენტაცია.

შენობის კლასი(პასუხისმგებლობის დონე)- (ГОСТ 27751-88) – IV.

შენობის ტიპი – რკინაბეტონის კარკასი.

ობიექტის ტექნიკური დახასიათება –13 სართულიანი საცხოვრებელი სახლები(##2;3;4;5;).

ზომები გეგმაში – 17.0 X 35. მ.

იატაკის საპროექტო ნიშნული - 0.00.

საძირკვლის სავარაუდო ტიპი - გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან გამომდინარე.

სავარაუდო საპროექტო დატვირთვა საძირკველზე – 20 ტ/მ^2.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევებით განისაზღვროს – სიმკვრივე **ρ**, გ/სმ^3, ბუნებრივი ტენიანობა **W**, %, ფორიანობის კოეფიციენტი **e**, შინაგანი ხახუნის კუთხე **φ**, შეჭიდულობა **C**, საერთო დეფორმაციის მოდული **E₀**, მპა, საგების კოეფიციენტი - **Ks**, გრუნტების პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა (პნ 02.01-08) **R₀**, კპა, კლდოვანი გრუნტის შემთხვევაში ფენების დახრის კუთხეები და მიმართულებები.

განისაზღვროს ასევე მომიჯნავე შენობის საძირკვლების ტიპი და ჩაღრმავება (არსებობის შემთხვევაში).

ჭაბურღილების რაოდენობა – შურფების და ჭაბურღილების სიღრმე და რაოდენობა დაზუსტდეს გეოლოგის მიერ (Снип 1.02.07-87 ცხრილი 37; 38) მიხედვით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების დოკუმენტაცია (დასკვნა) წარმოდგენილ იქნას აკინძული 2 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსიის სახით.

დამკვეთის წარმომადგენელი

დასათაურება

I. შესავალი 4

II. ზოგადი ნაწილი. გეოგარემოს ზოგადი დახასიათება 5

II.1. კლიმატური პირობები 5

II.2. ჰიდროგრაფია 11

II.3. გეომორფოლოგია 11

II.4. შესწავლილობა. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება 13

II.4.1. საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლილობა 13

II.4.2. ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება 14

II.5. ჰიდროგეოლოგია 15

II.6. სეისმოლოგია 16

III. სპეციალური ნაწილი 16

III.1. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები 16

III.2. ლაბორატორიულ-გეოტექნიკური გამოკვლევების შედეგები 17

III.3. გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგი 21

IV. დასკვნები და რეკომენდაციები 22

ცხრილები და გრაფიკები:

ცხრ.1. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი 24

ცხრ.2. გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის შედეგები 25

ცხრ.3. ფიზიკური და დეფორმაციული მახასიათებლების ექსპერიმენტული მონაცემე-
ბის ვარიაციული სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების შედეგები 26

ცხრ.4. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები 27

გრაფ.1-3. გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები (თიხნარი) 28

გრაფ.4-6. გრუნტის ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდის შედეგები (თიხნარი) 31

გრაფ.7-9. გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები (თიხა) 34

გრაფ.10-12. გრუნტის ძვრაზე ლაბორატორიული გამოცდის შედეგები (თიხა) 37

ცხრ.5. გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზი 40

ნახაზები:

ნახ.1. ჭაბურღილების განლაგების რუკა 41

ნახ. 2-8. ჭაბურღილის ლითოლოგიური სვეტი 42

ნახ. 9-11. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი 49

ფოტომასალა 53

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა

პროგრამა შედგენილია ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ.02.01-08 (შენობებისა და ნაგებობების ფუძეები) და ს.ნ. და წ. 2.02.03-85 მოთხოვნათა გათვალისწინებით. დამკვეთის მომართვისა და წარმოდგენილი ტექნიკური დავალების მიხედვით ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, არჩილ მეფის ქ. №13-is da №15 მიმდებარედ, ასაშენებელია ოთხი (№№ 2; 3; 4; 5) 13 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფების გარეშე.

შესასრულებელი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიზნობრივი დანიშნულებაა, ნაგებობების დაფუძნების პირობების დადგენა. უბნის ტერიტორიას, სამხრეთიდან ესაზღვრება მშენებარე სახლების საამშენებლო მოედნები ,აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან თავისუფალი ნაკვეთები, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან გადის არჩილ მეფის ქუჩაზე.

დასახული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია შემდეგი სახისა და მოცულობის სამუშაოების ჩატარება:

1. მოპოვებული და შესწავლილ იქნას არსებული ფონდური მასალები.

2. ვიზუალურად გამოკვლეულ იქნას საამშენებლო მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია არასასურველი გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა-პროგნოზირების მიზნით.

3. სამთო გამონამუშევრებს შორის მანძილი და ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვროს ს.წ. 11-105-97 ცხრ. 8.1; 8.2 მოთხოვნათა გათვალისწინებით. ჭაბურღილების ნორმატიულ სიღრმეებად მიღებულია - 17.0 მ. ჭაბურღილებს შორის მანძილი 30.0 მეტრი.

4. ბურღვითი სამუშაოები განხორციელდეს სვეტური მეთოდით, მშრალად კერნის ამოღებით. გაიბურღოს 7 ჭაბურღილი (ბურღვის დიამეტრი 127 მმ). კლდოვანი ქანების ნორმატიულ სიღრმეზე უფრო ახლოს გახსნის შემთხვევაში, ბურღვა უნდა განხორციელდეს საღი ნიმუშების გამოჩენამდე და ჩაღრმავდეს (საღ ქანებში) 1-2 მეტრით.

5. გამონამუშევრებიდან აღებული იქნას დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის, გრუნტების ნიმუშები (ს.ნ. და წ. 1.02.07-87. პ. 3.75 მოთხოვნის მიხედვით) იმ რაოდენობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით ლაბორატორიული კვლევების შედეგების დამუშავებას. ნიმუშების კონსერვაცია და ტრანსპორტირება განხორციელდეს ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ. და წ. მოთხოვნათა მიხედვით.

6. წყლის გამოჩენის პირობებში უნდა დაფიქსირდეს გამოჩენის სიღრმე და სტატიკური (დამყარებული) დონე. აღებული უნდა იქნას წყლის 1 სინჯი.

7. გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევებით უნდა დადგინდეს:

ა. გრანულომეტრიული შემადგენლობა; ბ. ფიზიკური თვისებები; გ. დეფორმაციული მახასიათებლები (კომპრესიული კვლევების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღება სტანდარტი 23908-79 მოთხოვნათა გათვალისწინებით); დ. სიმტკიცის მახასიათებლები.

8. საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე ს.ნ.და წ. 1.02.07-87-ის მე-9 დანართის მოთხოვნათა გათვალისწინებით შედგეს ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში (დასკვნა), რომელშიც მოცემულია შენობის ფუნდირების პირობები და შესაბამისი რეკომენდაციები. დასკვნა წარმოდგენილ იქნას 3 ეგზემპლიარად ელექტრონული ვერსიის თანდართვით. ტოპოგეგმა წარმოდგენილია დამკვეთის მიერ 1:500 მასშტაბში.

ინჟინერ-გეოლოგი  ბ. დევდარიანი

I. შესავალი

